ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N58**

**2016 წლის 25 აპრილი**
**ქ.ქობულეთი**

**ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის**
**საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე**
**თანხმობის მიცემის შესახებ**

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიას"-ს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩაქვი, თამარ მეფის ქუჩა N73-ის მიმდებარედ (ს/კ 20.48.04.077) ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ „ნინო კუნჭულია"-ს კუთვნილ ობიექტზე 0.4 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო მიწისზედა სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული ნახაზის შესაბამისად;

2. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე




| | | |
|---|---|---|
| | | ENERGO-PR GEO |
| | | ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვში მდებარე ნინო კუნჭულიას ობიექტი |
| სპეც. | ი. ჯიბლაძე | სიტუაციური გეგმა |
| | | 0.4კვ. ძაბვის ეგხ-ს ტრასის გეგმა |

| სტადია | ფურცელი | ფურცე |
|---|---|---|
| მ.პ. | 1 | 1 |
| სს ენერგო-პრო ჯორჯი. ქ. ბათუმი ბაგრატიონის ქ. N 2016 წ. | | |